

საპარტეზლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 11 16 (6572)

1980 წ.

ქვეყნური

საბჭოთა

შანი 3 კვ.

გაზეთი გაზეთის 1934 წლის 18 აპრილიდან

საპარტეზლოს მხრით... ლეოს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, რომლებიც ერთსულმოდგინედ უპირან მხარს და იწონებენ კომუნისტური კომიტეტის საშინაო და საგარეო კოორდინაციას, საპარტეზლო კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის კოორდინაციას და მისი მეთაურის ანდრეას ლ. ი. ბრუნიანის მრავალმხრივ, მრავალმხარულ მონაწილეობას, გადაწყვეტილი აკვთ ერთხელ კიდევ დაამტკიცონ, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია.

ჩვენი ფულიის უნდა იყოს!

კაცობრიობის ისტორიაში დაღვაწეობის ახალი ეტაპი — საუკუნის ბოლოსწინა ათწლეული. 1980 წელი ბევრი რამით არის ღირსშესანიშნავი, განსაკუთრებით — ჩვენი ქვეყნისათვის: ეს არის X სუთწლეულის დამაგვირგვინებელი წელიწადი, ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის წილის წელიწადი და სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების დაძაბული პერიოდი. და, აქედან გამომდინარე, მრავალი თაოსნობისა და შემოქმედებითი შრომის, მომავალი წარმატებითი ფუძისჩამოყალიბების წელიწადი.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ამ მძლავრ ბერკეტს ბევრ შემთხვევაში არცთუ ცუდად ვიყენებთ. სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით აქტიურად კრების შემდეგ, რესპუბლიკაში საგრძნობლად ამაღლდა ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა 1979 წელს ვადადგინეს და გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა-ვალიანობები. ფიზკულტურისა და სპორტში სისტემატურად მომეცადინეთა რაოდენობამ მიაღწია 1.744.280-ს (გეგმით — 1.740.000), მშლ კომპლექსის ნიშნის განხილვა 484.350 (გეგმით — 483.700), მსობრივი თანრიგისანი განხილვა 363.190 (გეგმით — 362.000). როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებელთა დიდი ნაწილი მჭიდროდ შეგობრობს ფიზკულტურისთან და სპორტთან. ამას უნდა დავუმატოთ ის სასიამოვნო ფაქტები, რომ ჩვენთან სულ უფრო ფართოდება მატერიალური ბაზა — მართლ 1979 წელს კომპლექსური ქალაქ ბორის ძენლაძეში მწყობრში ჩადა სამხედრო-სპორტული კომპლექსი, რუსთავის ქიმიურ ქარხანაში — სპორტული კომპლექსი, აშენდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, ჭიათურის ნაგუთის დასახლების მიკრორაიონის სტადიონი, თბილისში ძიუდოსტების გადაცათ სპეციალიზებული დარბაზი და ა. შ. ფართოდება ე. წ. „კანმრთელობის საამქროთა“ რიცხვი საცხოვრებელ ადგილებში, მიკრორაიონებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მაგრამ, მთუხედავად ამისა, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ბევრი საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ჭერ კიდევ ვერ გაიგეს ფიზკულტურისა და სპორტის როლი შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში, კადრების დენადობის წინააღმდეგ მისი მნიშვნელობა და ყადრი. ჭერ კიდევ დადაუჭრელია მცირე სპორტული მოედნების საკითხი დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით — თბილისში. ზოგიერთი ხელმძღვანელი ყურადღების მინიმუმსაც არ აქცევს ფიზკულტურის დანერგვის თავის საწარმოში, გაერთიანებაში, საბჭოთა მეურნეობაში. ამაზე მატყველებს ჩვენი სარედაქციო ფოსტაც, სადაც ხშირად მოდის ახლგაზღვრების წერილები მათთან ფიზკულტურისადმი უსულგულლო დამოკიდებულების ფაქტებზე, მოუვლელ სპორტულ ბაზებზე, ჩაშლილ მუშაობაზე...

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ რთული და საპატიო ამოცანების გადაჭრის საქმეში დიდი როლი ენიჭება ახალგაზრდების, კომკავშირელთა შემართებულ შრომას, მათ თავდადებას, ვინც უნდა გამოიყენოს მომავალი ხუთწლეულების ლითონი, სორცი შეასხას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ზვალინდელ გეგმებს.

ნათელია, რომ იზრდება იმ სპორტსმენების როლი, რომლებმაც ახალი გამარჯვებებით, რეკორდებით, მიღწევებით უნდა გაახარონ თავიანთი თანამემამულენი, ოპტიმიზმის, შემართების, შემოქმედებისა და მომავალ წარმატებათა აუცილებელი მიღწევის რწმენა შემატონ მათ. განსაკუთრებით საპასუხისმგებლო შეხვედრები ჩვენს საუკეთესო სპორტსმენებს მოელოთ მიმდინარე, ოლიმპიურ წელიწადს, რომელიც აღსავსეა სხვადასხვა რანგის ტურნირებით, ჩემპიონატებით, მატჩებით. იმაზე, თუ როგორ ოსტატობას უჩვენებენ ჩვენი ათლეტები, ბევრად იქნება დამოკიდებული მათი წარმატებითი მონაწილეობა იმ უდიდეს სპორტულ ფორუმზე, რომელსაც მოსკოვის ოლიმპიური თამაშები ჰქვია...

საქართველოს კომუნისტური პარტიის მიმართვა ყველა ჩვენგანის წინაშე სახავს ახალ, ჭეშმარიტად პატრიოტულ, ჩვენი ბედნიერი მერმისისათვის გამიზნულ ამოცანებს. რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ამთავრებენ X სუთწლეულს და მტკიცე საფუძველს უქმნიან მომავალ ხუთწლეულს, უტყველია, მაღალ ორგანიზებულობასა და შეკავშირებას გამოიჩინენ და მთელს თაინათ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უნარს მოახმარენ ახალ შეხანიშნავ გამარჯვებათა მიღწევას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 1980 წელს, პირველად სპორტის ისტორიაში, ოლიმპიური თამაშები ჩატარდება სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში, მოსკოვში...

გუშინ რესპუბლიკურ პარტიულ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის, ყველა მშრომელისადმი. დოკუმენტში მკაფიოდ, კონკრეტულად არის მითითებული ის წარმატებები, რასაც მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა გასულ, 1979 წელს. დასახულია ის ძირითადი ამოცანები, რაც ჩვენს წინაშე დგას მიმდინარე, 1980 წელს.

ჩვენი უპირველესი ამოცანა ის უახლესია, — ნათქვამია მიმართვაში, — რომ არა მარტო უზრუნველვყოფთ წლიური გეგმის შესრულებას, არამედ წარმატებითა და გამართობით მთელი ხუთწლეული. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ წელს საქართველოს უზრუნველვყოფთ შრომის ნაყოფიერების მატებას, 6,6 პროცენტით...

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს.

ცნობილია, რომ ისეთ შრომით კოლექტივებში, სადაც ფართოდ არ დაუნერგიათ ფიზიკური კულტურა და სპორტი, გაცილებით მეტია გაცდენებისა და სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევები. ეს დანაკარგები ყოველწლიურად მილიონობით კაცდღეს აღწევს.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე გარკვევით ითქვა, თუ როგორ იქცევა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემები სოციალურ ფაქტორად, შე-


ლეიკ-პლასიდის თამაშების გახსნამდე დარჩა 29 დღე

შეგროვდნენ კოკეისტები

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები ჰოკეიში ლეიკ-პლასიდის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადების ბოლო ეტაპზე შეიკრიბნენ. ორშაბათს ვ. ტიხონოვისა და ვ. იურზინოვის ხელმძღვანელობით მომავალი ოლიმპიელები ცსკა-ს სპორტის სასახლეში გარჯიშობდნენ. საციგურაოსა და დარბაზში მათი ერთობლივი წვრთნა იანერის ბოლომდე გაგრძელდება. შეკრებაზე 28 სპორტსმენი: მეკარეები — ტრეტიაკი (ცსკა), მიშკინი („კრილია სოვეტოვი“) და დოროშჩენკო („სპარტაკი“); მცველები — ვასილიევი, პერეგუბინი, ბელიალეტინოვი (ყველა — მოსკოვის „დინამო“), ლეშჩენკო, ბაბინოვი, ფიტისოვი, კსატონოვი, სტარცოვი და გამაიევი (ყველა — ცსკა), ვოუკოვი („ტორედო“); თავდასხმელები —

მიხაილოვი, პეტროვი, ხარლამოვი, კაპუსტინი, ელტოვი, ბალდრისი, მაკაროვი და კრუტოვი (ყველა — ცსკა), მალცევი, ვ. და ა. გოლიკოვი (ყველა — მოსკოვის „დინამო“), სკვარცოვი, კოვინი, ვარნაოვი (ყველა — ტორედო“) და ლეგევი („კრილია სოვეტოვი“).

იზარდა, მხანა ჯაჯილო!



მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში თბილისის ბაზებზე ჩატარდა მამათა და შეილთა საქალაქო პირველობა მინი-ფეხბურთში. ასპარეზობის ფინალური შეხვედრები კვირას სპორტის სასახლეში მოეწყო. გადამწყვეტმა მატჩებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სურათზე: შეილთა შეჯიბრების მომენტი. ი. იუნევის ფოტო. (ტურნირის ანბარში იხ. მე-3 გვ.)

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის განცხადება

ლუბლინი, 14 იანვარი. (საკდესი). გადაწყდა, 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობა მოეწყოს მოსკოვში, და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ დაარღვევს ამ გადაწყვეტილებას, განაცხადა გაზეთ „სანდი პრესსათვის“ მცემულ ინტერვიუში კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს უოლტერ მონდეილს განუცხადებია,

„ასპარეზობა მონრეალსა ან მიუნხენში მოაწყვეთო“. მაგრამ მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი წყვეტს, სად გაიმართოს ოლიმპიური ასპარეზობა.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაბეჭითებით მოითხოვა ოლიმპიადა მოსკოვში მოეწყოს.

მ. კოსის მსოფლიო მიღწევა

მსოფლიოს რეკორდსმენმა მ. კოსმა ბერლინში გდრ-ის მძლეოსანთა ზამთრის შეჯიბრებაში 100 მეტრზე ასპარეზობის დროს 11,15 წამი აჩვენა. ეს დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო მიღწევაა. მ. კოსი უძლიერესი იყო 60 მეტრზე — 7,12. ეს შედეგი მისივე ევროპული მიღწევის გაყოფაა. სიგრძეზე ხტომაში ევროპის თასის მფლობელმა, 20 წლის ლ. დომბროვსკიმ გდრ-ის მიღწევა დააყარა — 306 სმ.



გრაქსა და...

მოსკოვში მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის სპეციალურად მოწყობილი ახალი ბაზებზე უკვე ბევრი შეჯიბრება გაიმართა. დახურული ტრეპზე გრძელდება ველოსიპედისტთა ექვსდღიანი ტურნირი. ბრძოლაში ჩაებნენ სპორტისტები. საკვალიფიკაციო შეჯიბრება ყველა უძლიერესმა წარმატებით გაიარა, მაგრამ ქვეყნის ნაკრების წევრის თბილისელი გ. დვალისთვის მეთებდინალი „აქილევსის ქული“ აღმოჩნდა: მან მხოლოდ ორდღის ბრძოლაში გაიმარჯვებით შეიღო IX ადგილის მოპოვება და შემდგომი ბრძოლის გაგრძელება უფლებაც მიიღო. ამ დღის ფინალში კი ქვეყნის ნაკრების წევრებმა გაათამაშეს. იმარჯვა ს. კობილოვა, II ადგილზე გავიდა ს. ქუთაიელი, III — თბილისელი გ. გელაშვილი.

მეორე დღეს სპორტერები სხვა სტიმით ასპარეზობდნენ. პირველი ეტაპის შემდეგ ცხრა უძლიერესი ოთხ-ოთხ ცდას მართავდა. სამი საუკეთესო აგრძელებდა გადაწყვეტილ სტარტებს. პირველ შეხვედრაში ს. კობილოვი, გ. დვალისგან და რიგული ა. ლეინი გამომდინდნენ. გარკვეულდნენ, რომ კობილოვი გაიმარჯვებდა, მაგრამ მისმა მეტოქეებმა შესანიშნავად იარეს. დვალისგან მან უკანსკენ 200 მეტრზე დღის საუკეთესო შედეგი (11,6) აჩვენა.

დვალისგან ასპარეზობდა გელაშვილი. მან ორჯერ იმარჯვა კედელ და მალაღობა აღიარა მონაწილეთა პრეტენზია. ჰქონდა, აგრამ მესამე ცდაზე ნეიტრალურ ზოლზე გავლის გამო დაჯარიმდა და გამარჯვების შანსი დაკარგა. ამან კობილოვის საშუალება მისცა ბრძოლის გაგრძელების უფლება მიეღო და საბოლოოდ ტურნირში პირველობაც მოიგო.

...მანუკი

ცხკას საფეხბურთო-მძლეობის მანუკი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, მლეოსანთა პირველი შეჯიბრება გახდათ საკავშირო თასის გათამაშების მოსკოვის ზონის პირველობა. იგი ამ თვის დასაწყისში გაიმართა. ამჯერად დედაქალაქის ლია ჩეპოიანის მონაწილეობა, ამოწმებენ მის ბილიტებსა და სექტორებს. ტურნირში სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქების სპორტსმენებიც მონაწილეობენ. შედეგებიც მალე გამოვა.

ალთა შორის 60 მეტრის გარბენას ა. ხარინამ („ტრული“) და სპორტოვამ 7,4-7,4 წამი მოიპოვა. გოგონებში უძლიერესი იყო გარბევილი ბ. პოიოვა — 7,6. ხლო 400 მეტრზე ყველა აჯობა ც. კოსტოლინოვამ (სოფია) — 57,7. ვ. ერემეევამ 100 მეტრზე თაჯრბენში 13,7 წამი აჩვენა. 18 წლის ი. ჩენი 624 სმ სიგრძეზე გადახტა.

აქათა შორის 60 მეტრზე რბენა მოიგო ს. ვანანლოვამ („ტრული“) — 6,6. ასეთივე შედეგი ჰქონდა ქვეყნის ჩემპიონს, არბი მ. გ. სიდოროვს. სამაგიეროდ იგი პირველი იყო 100 მეტრზე შეჯიბრებაში. ვ. სავინისი („ბურევეტნიკი“) 761 სმ სიგრძეზე გადახტა. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის ბ. ზაიჩუკის („ტრული“) ურო 72,70 მეტრზე დაეცა.

სპარტაკიადის ჩემპიონის ნარმაჯავა

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონმა, ირკუტსკში სტუდენტმა 19 წლის კ. ვოლოკოვმა ვილინუსში გაართულ შეჯიბრებაში ჭოკით გადალახა 560 სმ სიმაღლე. ეს შედეგი 3 სპორტსმენს ლენინგრადელ ვ. კოვალენკოს, საკავშირო მძლეობის დახურული შენობისთვის.

დღეს ციურისში, უეფას შტაბინაში გაიმართება ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალისტთა წილისყრა. ამ გუნდებს შორის არის საბჭოთა გუნდები — მოსკოვის „დინამო“, რომელიც თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობს. ვალაფხედით მეოთხედფინალში მონაწილე გუნდებს.

ევროპის ჩემპიონთა თასი. წლეულს ეს ტურნირი ოცდამეხუთედ იმართებდა და თავისი შემადგენლობით ყველაზე ძლიერია, რადგან მასში მონაწილეობს ამ თასის 6 მფლობელი („რეალი“, „მილანი“, „აიაქსი“, „სელტიკი“, „ლივერპული“, „ნოტინგემ ფორესტი“) და თასების მფლობელთა თასის 1977 წლის გათამაშებაში გამარჯვებული — „ჰამბურგერ შპორტკლუბი“. ტურნირში მონაწილე 33 გუნდიდან ამჟამად მეოთხედფინალს შემორჩნენ: „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი), „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი), „ჰამბურგერ შპორტკლუბი“ (გერმ.), „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია), „სელტიკი“ (გლასგო, შოტლანდია), „აინტრეხტი“ (სპლიტი, იუგოსლავია), „რესინგი“ (სტრასბურგი, საფრანგეთი) და „დინამო“ (ბერლინი, გერმ.). თუ შევადარებთ შარშანდელ მეოთხედფინალისტებს, დავინახავთ, რომ მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ (ინგლისი, გერმ., შოტლანდია, გერმ.) შეინარჩუნა წარმომადგენლობა. ესპანეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონები ერთი წლის შესვენების შემდეგ ისევ მონაწილეობენ ტურნირის ამ სტადიაში, ხოლო საფრანგეთისა და იუგოსლავიის ჩემპიონები — შესაბამისად ორი და სამი წლის შესვენების შემდეგ.


რუმინებმა რჩება

როგორც ცნობილი გახდა, გერმანის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერის“ 25 წლის ფეხბურთელი კარლ-ჰინც რუმინიკი თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტს გააგრძელებს 1985 წლის იანვრამდე.

„კოსმოსი“ აქლიერება

აშშ-ის სამგზის ჩემპიონმა, ნიუ-იორკის „კოსმოსმა“, ახალი შევსება მიიღო. მომავალი სეზონიდან

გაგრისა და ლესელიძის სპორტულ ბაზებზე ამას წინათ მოეწყო სპორტის დამსახურებულ ოსტატის — შ. იამანიძის სსოვისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის „დინამო“, როსტოვის, ვოროშილოვგრადისა და ხარკოვის სპორტინტერნეტების, ერევნის „არარატის“, თბილისის განათლების სამმართველოს, „დინამოსა“ და ახალგაზრდული საფეხბურთო სკო-



ვიღრე დანყვიღნენ...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეოთხედფინალში პირველად ითამაშებენ სტრასბურგის „რესინგი“ და ბერლინის „დინამო“, მეორედ — „ჰამბურგერ შპორტკლუბი“, „ნოტინგემ ფორესტი“ და სპლიტის „აინტრეხტი“. მეოთხედფინალს „სელტიკი“, მეორედ — „აიაქსი“. ყველაზე მეტჯერ (ცამეტჯერ) მეოთხედფინალში გავიდა თასის ექვსგზის მფლობელი — მადრიდის „რეალი“. ასეთია უძლიერესთა „ოქტეტი“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

თასების მფლობელთა თასი. ამ ტურნირშიც ძლიერი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში: თასების მფლობელთა თასის შარშანდელი მფლობელი ესპანეთის „ბარსელონი“, უეფას თასის გათამაშებაში სხვადასხვა წლებში გამარჯვებულნი ინგლისის „არსენალი“, ესპანეთის „ვალენსია“ და იტალიის „იუვენტუსი“, აგრეთვე მოსკოვის „დინამო“, საფრანგეთის „ნანტი“, შვეიციის „გიორგთორგი“ და იუგოსლავიის „რეიკა“. ამ გუნდებიდან შარშან მხოლოდ „ბარსელონი“ იყო მეოთხედფინალში. ტურნირში წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა „გიორგთორგი“ და „ლონდონის არსენალი“. და, როგორც ხედავთ, ისინი ჯერჯერობით წარმატებით გამოდიან, ხოლო „რეიკა“, „ნანტი“ და „იუვენტუსი“ მეორედ ითამაშებენ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში და პირველად გავიდნენ მეოთხედფინალში. რაც შეეხება მოსკოვის „დინამოს“, მან ამ გათამაშება-

ში მესამედ მიიღო მონაწილეობა და ამჯერად მეოთხედფინალში გავიდა. მოსკოველებმა 1972 და 1978 წლებში გადალახეს ეს ზღუდე და პირველად ფინალისტები, ხოლო მეორედ ნახევარფინალისტები გახდნენ. ყველაზე გამოცდილი გუნდია „ბარსელონი“, რომელიც მეხუთედ გამოიღის ამ ტურნირში. იგი სამჯერ იყო მეოთხედფინალისტი, ერთხელ (1969 წ.) ფინალისტი, შარშან კი თასის მფლობელი გახდა.

უეფას თასი. ამ გათამაშების 9 წლის ისტორიაში წარმატებით გამოდიან დასავლეთგერმანული კლუბები — მეოთხედფინალში მათი რიცხვი ზოგჯერ ერთზე მეტია. ასე, მაგალითად, 1973 და 1974 წლების გათამაშებაში ბუნდესლიგის 2 წარმომადგენელი იყო, 1975 და 1979 წლებში კი — 3. წლებშიც შედეგმა კი ყოველივეს გადააჭარბა — მეოთხედფინალისტთა შორის 5 დასავლეთგერმანული კლუბი: მიუნხენის „ბორუსია“, ბორუსიის „კაიზერსლაუტერნი“, მიუნხენის „ბაიერნი“. ფრანკფურტის „აინტრაქტი“, და „შტუტგარტი“. დანარჩენი გუნდებია — საფრანგეთის „სენტ-ეტენი“, ბელგარეთის „ლოკომოტივი“ და ჩეხოსლოვაკიის „ზბროიოვკა“. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის კლუბები უეფას თასზე ვერ აღწევენ მეოთხედფინალს, მიუხედავად იმისა, რომ 8 საბჭოთა კლუბმა 17-ჯერ მიიღო მონაწილეობა ამ ტურნირში. უეფას თასზე მეოთხედფინალისტთა შორის დებიუტანტებია

სოფის „ლუკანეცი“ და ბრნოს „ბენიფიკა“. მონაწილეობა მიიღეს „ბორუსია“, რომელიც მეოთხედ გავიდა მეოთხედფინალში, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გუნდი ორჯერ ფლოდა უეფას თასს (1975 და 1979 წწ), ხოლო 1973 წელს ფინალისტი გახდა. ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი მიუნხენის „ბაიერი“ მეორედ მონაწილეობს ამ ტურნირში და წელს პირველად დაიკავა ადგილი 8 უძლიერეს გუნდს შორის. „კაიზერსლაუტერნი“, ფრანკფურტის „აინტრაქტი“ და „შტუტგარტი“ კი მეორედ გავიდნენ მეოთხედფინალში. საფრანგეთის „სენტ-ეტენი“ ადრეც მონაწილეობდა უეფას თასზე, მაგრამ მხოლოდ წელს გავიდა მეოთხედფინალში. სპეცილისტებს მიჩნიათ, რომ მხოლოდ „სენტ-ეტენი“ შეუძლია სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლეთგერმანულ კვინტეტს.

თუ შარშან სამივე საკლუბო ტურნირში წინა წელს გამარჯვებულმა გუნდებმა მეოთხედფინალს ვერ მაღწიეს, წელს „ნოტინგემ ფორესტი“, „ბარსელონი“ და მიუნხენის „ბორუსია“ ჯერჯერობით ინარჩუნებენ შანსს საბატიო პრიზების შედარებულ მეორედ მოპოვებისათვის.

მ. ხუაშინა.



„ჰამბურგის“ ახალი პრეზიდენტი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის „ჰამბურგის“ პრეზიდენტად დაინიშნა 36 წლის ვოლფგანგ კლაინი.

ინგლისელი ფეხბურთელი „აინტრეხტი“

გერმანის ბუნდესლიგის ერთ-ერთმა წამყვანმა კლუბმა „ფკ კოლონი“ ახალი შევსება მიიღო „ნოტინგემ ფორესტის“ მოთამაშისა და ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ამომავალი ვარსკვლავის, 24 წლის ტონი ჯუდოკის სახით.

შოთა იამანიძის ხსოვნას მიეძღვნა

ლის, ქუთაისის „განთიადისა“ და გაგრის განათლების განყოფილების გუნდები. უკონკურსოდ გამოდიოდა რსდსრ-ს ნაკრები. გუნდები დაკომპლექტებული იყო 1964-65 წლებში დაბადებული ჰაბუკებით.

ფინალში დაამარცხა ერევნის „არარატი“ (1:0) და მოიპოვა საბატიო თასი.

გათამაშებაში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. *ისინი გადაეცათ ი. ჩუხუას, ი. გრძელმოვილს (თბილისი), აგრეთვე, ქუთაისელ გენეხაძეს და გაგრელ ჯოჯუას.

ი. გომორაძე, საკავშირო კატეგორიის საბატიო მსახი.

მამები და შვილები


საინტერესოა იყო თბილისის კომკავშირისა და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტების პრიზზე მინი-ფეხბურთში გამართული მამებისა და შვილების ნაკრები გუნდების ტურნირი.

სი გამოიწვია. პირველი ადგილისთვის ბრძოლა როგორც მამების, ისე შვილების გუნდებს შორის, სკამოდ დაძაბული გამოდგა. ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების მამებისაგან შემდგარი გუნდების შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერიაში გამარჯვება ლენინის რაიონის გუნდს მოუტანა — 5:4. შვილების გუნდების ფინალურ მატჩში ლენინის რაიონის ფეხბურთელებმა მ. ბანცაძემ 2 ე. ყულიაშვილმა ზედღებულ ბურთი გაიტანეს ოქტომბრის რაიონის გუნდის კარში და წინ

გაიყვანეს თავიანთი კოლეგები. შეხვედრის მეორე ნახევარში ოქტომბრის რაიონის გუნდმა მედგარდ შეუტია მეტოქეს და გაქვითა ანგარიში — 2:2 (ორივე გოლი ს. ტოკონიძემ გაიტანა). პირველი ადგილის ბედი აქაც 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერიაში გადაწყვიტა — 5:4. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის პრიზი მოიპოვა ოქტომბრის რაიონის შვილების გუნდმა.

მამებისა და შვილების გუნდების მიერ მოპოვებული საერთო შედეგით I ადგილი და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზი წილად ხვდა ლენინის რაიონს.

ი. იუნავეი.



სურათებზე: შვილთა ფინალური ტურნირის ბომბარდირი გ. ჩიჩუა; (კალინინის რაიონი); გულშემატკივრები; ლენინისა და 26 ავტორის ფოტოები.

კორიზონტები

ლიპ-კლე-ნილი



საბოლოო ნაპრებს კორტინა და ამპეცოს ზამთრის VII ოლიმპიური თამაშების არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებამ საერთო თამაშების მოულოვან ფაქტურად აქედან დაიწყო სკანდინავიის ქვეყნების რეგრესი. წარუმატებლობა განსაკუთრებით განიცადეს ნორვეგიელებმა, რომლებმაც მანამდე ჩატარებულ 6 თამაშებში 4-ჯერ უძლიერესის სახელი მოიპოვეს. საფუძვლიანად შეირყა ამერიკელთა პოზიციებიც; ქვეყნისა, რომელიც აქამდე მხოლოდ ერთხელ გაცივდა საბრძოლო ადგილს (1936 წელს).

რევანშის წყურვილმა აღრინდელ ფაფორიტებს კორტინა და ამპეცოში ბატალიების დამარჯვებისთანავე დააწყებინა VIII თამაშებისთვის მზადება. განსაკუთრებით ამერიკელები იმედოვნებდნენ, რადგან ამ თამაშების მასპინძლობა მათ მალაშობიან სოფელ სკვო-ველს ერგო. 1960 წლის 14-28 თებერვალს 27 სახეობაში სწორედ აქ იბრძოდა გამარჯვებისთვის 30 ქვეყნის 750-მდე სპორტსმენი.

ეს თამაშები სამი რამით იყო აღსანიშნავი: ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში პირველად სწორედ აქ აიგო სპეციალური ოლიმპიური სოფელი; პირველად აქ იასპარეზეს ოლიმპიელებმა ხელოვნურ საცივურათზე; ამ თამაშების პროგრამიდან პირველად ამოიღეს ესოდენ პოპულარული

ბობსლეი. სამაგიეროდ, პროგრამას დაემატა ქალთა შორის ციგურებით სწრაფბენა.

თამაშებზე დიდი ადგილი დაეთმო სათხილამურო რბოლებს. სკანდინავიელებმა ნაწილობრივ მხოლოდ აქ შეძლეს რევანშის აღება, რის გამო საბჭოთა ოსტატებმა წინა თამაშებთან შედარებით უკან დაიხიეს — ვაჟებმა მხოლოდ 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს — 30 კილომეტრზე ნ. ანიკინმა შეძლო ეს (1:52.28,2) და 4X10 კმ ესტაფეტაში მანვე ა. შელიუხინთან, გ. ვაგანოვთან და ა. კუზნეცოვთან ერთად III ადგილი დაიკავა — 2:21.21,6.

სამაგიეროდ, აშკარა იყო უპირატესობა საბჭოთა ქალებისა, რომლებსაც წილად ხვდათ ყველა საბრძოლო ადგილი 10 კმ რბენაში.

ლებს შორის ბედმა ყველაზე მეტად ა. პრევალოვს გაუღიმა — (1:34.54,2). ამან მას ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

სამთხილამურო რბოლებში ვერაფრით გაგვახარებ. სამაგიეროდ, მოციგურავეებმა შესანიშნავად იასპარეზეს. ქალებმა მედალების დიდი მოსავალი მოიპოვეს — 3 ოქროს (კ. გუსევა 1000 მეტრზე, ლ. სკობლიკოვა 1500 და 3000 მეტრზე), 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიგეს. ვაჟებსაც 3 „ოქრო“ ხვდათ (კ. გრიშინი 500 და 1500 მეტრზე, ვ. კოსინკინს — 5000 მეტრზე). მათ კიდევ 1 მეორე და 2 მესამე ადგილები დაიკავეს და 38 ქულა მოაგროვეს.

პოკეიში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ მასპინძლები. კანა-

დასამალი რბოლა, რომ აშშ-ის მაშინდელი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ქვეყნის მთავრობის დახმარებით ბევრი რამ გააკეთა თამაშების მაღალ დონეზე, ორგანიზებულად ჩატარებისთვის.

მართლაც, შეჯიბრებები მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარებდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელმა პრეზიდენტმა ე. ბრენდელმა თამაშების შემდეგ „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „საბჭოთა სპორტსმენებმა აშშ-ში საუცხოო შედეგები მიახინდეს. სწორედ მათი დიდი დამსახურებაა ის საერთო მეგობრული ატმოსფერო, რომელიც სკვო-ველში ოლიმპიადის დღეებში იყო გამეფებული“.

სკვო-ველის თამაშების შემდეგ დასავლეთის პრესა ერთგვარ რეზიუმეს უკეთებდა ბოლო ორი ოლიმპიადის შედეგებს (საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით) და აღნიშნავდა, რომ VII და VIII თამაშებმა ბევრ ქვეყანაში ზამთრის სახეობების არსებული ზრდა დაადასტურა. ისინი ამას ოლიმპიადებში საბჭოთა სპორტსმენების ესოდენ დიდ წარმატებებს უნდა უმაღლოდ დანებებოდნენ. მათთან კონკურენციამ სხვათა ზრდა განაპირობა. თამაშები წმინდა სპორტული ღონისძიებებიდან გადაიქცა სპორტსმენთა შორის შვიდობისა და მეგობრობის უდიდეს საერთაშორისო დღესასწაულად. 1956 და 1960 წლების სტარტებმა დაამტკიცა ოლიმპიური მოძრაობის უდიდესი სასიცოცხლო ძალა.

უკვე აღარავინ მალავდა, რომ ოლიმპიადებში საბჭოთა კავშირის წარგზავნილების მონაწილეობამ თამაშები კიდევ უფრო წარმომადგენლობითი, უფრო ავტორიტეტული გახადა, გააძლიერა მისი დემოკრატიული სული.

...და მაინც პირველი

(მ. გუსაკოვა — 39.46,6, ლ. ბარანოვა — 40.04,2, რ. ეროშინა — 40.06,0) და IV ადგილაც კი (ა. კოლიჩინა — 40.12,7). გუსაკოვას, ეროშინასა და ბარანოვას „ვერცხლები“ ერგოთ აგრეთვე, 4X5 კმ ესტაფეტაში — 1:05,02,6.

VII ოლიმპიადისთან შედარებით უკეთ გამოვიდნენ ჩვენი ორჭიდელები და ტრამპლინიდან მხტომელები. ამ უკანასკნელ სახეობაში ბაკურიახელი კ. წაქაძეც გამოდიოდა. ორჭიდეში 452 ქულით ნ. გუსაკოვამ „ბრინჯაო“ მიიღო. ხტომებში ნ. კაპენსკიმ კი 70-მეტრიან ტრამპლინზე IV შედეგი აჩვენა — 216,9 ქულა მოაგროვა. ჩემპიონი გახდა ჰ. რეკნაგელი (გერმ.).

თამაშების ყველაზე ახალგაზრდა სახეობაში — ბიატლონში საბჭოთა ოსტატებმა III-IV ადგილები მოიპოვეს. თანაგუნდე-

ლები მეორე იყვნენ. ჩვენები „ბრინჯაოს“ დასაჯდნენ. მასპინძლებს ბადალი არ ჰყავდათ აგრეთვე, ფიგურულ სრიალში (ერთეულთა სრიალში ჩვენები არ გამოდიოდნენ, წყვილთა შორის კი ნ. და ს. უუკებმა გუნდს მხოლოდ 1 ქულა მოუტანეს). ვაჟებში ჩემპიონი გახდა ჯ. ჯენკინსი, ქალებში — კ. პეისი. წყვილთა შორის კანადელები — ბ. ვაგნერი და ი. რიუგი.

თითქმის ორკვირიანი ბრძოლის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოეთის წარგზავნილებს 146 ქულა მოუგროვდათ. მასპინძლებს, რომლებიც III ადგილზე გავიდნენ, მხოლოდ—62. ამდენივე ქულით მეორე იყვნენ შვედები. საბჭოთა სპორტსმენებმა შინ 21 მედალი წამოიღეს. ხუთით მეტი, ვიდრე კორტინა და ამპეცოდან.

სტენდარკი ჩამორჩა


ლიპ-კლე-ნილის ოლიმპიადის წინ სამთხილამუროთა მსოფლიო თასების გათამაშების მორიგი ეტაპი კიციბულში (ავსტრია) გაიმართა. აქ ვაჟები სწრაფ-დაშვების 3516-მეტრიან ტრასაზე ეკიბრბოდნენ ერთმანეთს. ხოლო შემდეგ სპეციალურ სლალომში სცადეს ძალა.

შესანიშნავად გამოვიდა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატი ვ. ციგანოვი (კიციბულში იგი პირველად იყო). ევროპის ამ ურთულეს ტრასაზე მან XI ადგილი დაიკავა, ციგანოვი სულ რაღაც 2 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ კ. რიდს (კანადა), რომლის შედეგია 2.04,93. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ

ბ. ვიარტერი (ავსტრია) — 2.05,51 და პ. პლანკი (იტალია) — 2.05,61. მეოთხე გახლდათ ა. ვენცელი (ლიხტენშტეინი) — 2.05,84. სამაგიეროდ, ვენცელმა ყველა დაჯანსაღებული სპეციალური სლალომის ორი დაშვების გამო — 1.01,10. მან აქ კი ნორბოტერს (გერმ) 0,68 წამით მოუგო, მესამე პრიზიორი ე. ლიუტი (შვეიცარია) კი 0,81 წამით ჩამოიტოვა. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო გ. ანდრევი — 1.42,7 (XII ადგილი).

ამ ეტაპის შემდეგ თასის ჩათვლაში ვაჟთა ასპარეზობას სათავეში მოექცა ვენცელი. მას 110 ქულა აქვს და 17 ქულით ასწრებს მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელს ი. სტენმარკს (შვეიცია). მესამეა ბ. კრიჟაი (იუგოსლავია) — 75 ქულა.

შეკრება ორი ევზრის ზღვართან



როზემარი აკერმანმა (გერმ) მონრეალის ოლიმპიური თამაშების შემდეგ პირველმა გადალახა ორმეტრიანი ზღვარი, შემდეგ მსოფლიო რეკორდს იტალიელი სარა სიმეონი დაეუფლა, როცა როზის შედეგი ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა. გასულ წელს ტურინში (იტალია) გამართულ ევროპის თასის ფინალში მან 199 სმ სიმაღლე დაძლია და სეზონის საუკეთესო შედეგი უჩვენა. ის იყო ოლიმპიადის წინა სეზონში, როცა ყველა ათლეტი ცდილობდა დიდი წარმატებების მოპოვებას, რათა ოლიმპიადისთვის მყარი პოზიციები ჰქონოდათ. სინამდვილეში შარშან შედეგების ერთგვარი „გაყინვა“ შეიმჩნეოდა. სამაგიეროდ სეზონში ქალთა სიმაღლეზე ხტომაში იმდენი აქტიურობა შეინიშნებოდა, იმდენი რამ იყო ახალი, რომ შეიძლება, ის ერთგვარი სიწყნარე მოსალოდნელი ქარიშხლის დასაწყისად მივიჩნიოთ.

სარა სიმეონი და როზემარი აკერმანი მონრეალში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში კანადელ დეზბი ბრილთან დამარცხდნენ. ეს 26 წლის ვანკუვერელი სტუდენტი ახალი სახელი სიმაღლეზე მხტომელთა შორის. მან მონრეალის მსოფლიო თასის ფინალში 1,96 მეტრის დაძლევა მოიგო, ისე, რომ აკერმანმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, სიმეონიმ კი თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოიყენა. არა და,

დეზბი ბრილის მიერ მონრეალში ნაჩვენები შედეგი სეზონში მხოლოდ მესამეა.

ვინც ქალთა სიმაღლეზე ხტომას დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს, შეამჩნევდა თუ რა ცვლილებები მოხდა ოლიმპიადის წინა სეზონის განმავლობაში. ქრი-სტინე ნიციე (1,95 მ) საგრძობლად მიუახლოვდა ორმეტრიანთა კულებს. წინა ოლიმპიურ სეზონში აშკარად ეტყობა წინსვლა ელენე გოლობოროდკოს, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონს, ამ 172 სმ სიმაღლის ქალმა სპარტაკიადზე 191 სმ აჩვენა, რაც ბევრისთვის სიურპრიზს წარმოადგენდა. მაგრამ მისი მწვერთელი ვ. კოზლოვი სხვაგვარად ფიქრობს:

— ჩემთვის ეს არ იყო მოულოდნელი. ელენე ძალიან კარგად და ნაყოფიერად ვარჯიშობდა და შეჯიბრებისათვის შესანიშნავად მოემზადა. მას უფრო მაღლა შეუძლია ხტომა.

ელენეს მიერ საბჭოთა კავშირის რეკორდის სანტიმეტრით გაუმჯობესება, რაღაცას ნიშნავს: ამ მიმართებით საბჭოთა სპორტსმენები მრავალი წლის განმავლობაში დიდ წარმატებებს ვერ დაიკვირვებდნენ, ახლა კი ელენეს სახით ახალმა სიომ დაუბერა. ამჟამად საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელი ქალები გოლობოროდკო, სერბინა, დენისოვა და სურკოვა ანგარიშსასაყვე ძალად უნდა

მივიჩნიოთ. თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ 1980 წლის ოლიმპიადის მათი ქვეყანა უმასპინძლებს, ეს იქნება კიდევ ერთი, დამატებითი სტიმულატორი, რათა მათ უფრო დიდი სიმაღლეები დაიბყრონ.

მონრეალში სიმეონიმ, დეზბი ბრილთან დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ მისი პროგნოზი 1980 წლის ოლიმპიადისათვის უცვლელია:

— მე 2,04 და 2,05 მ. სიმაღლეზე ვფიქრობ. მსურს იგი საწვრთნელ ვარჯიშებზე გადავლახო. სეზონმა გვიჩვენა, რომ უკვე მრავალ სპორტსმენს შეუძლია დაძლიოს ორმეტრიანი ზღვარი. ამ გაზრდილი კონკურენციის გამო კიდევ უფრო ადვილი იქნება ახალი რეკორდის დამყარება.

ქალთა სიმაღლეზე ხტომაში შეინიშნება, რომ მრავალ ათლეტს აქვს დიდი წარმატების შანსი. აიღოთ თუნდაც ბრილი, ნიციე, გოლობოროდკო, ანდა მარია უნგრეთიდან, რომელმაც დარბაზში უკვე გადალახა 198 სმ სიმაღლე. მათ თამაშად შეუძლიათ 2 მეტრზე მიტანონ იერიში. აკერმანის შემდეგ, ვიდრე იგი 2 მეტრ სიმაღლეს გადაეფეხებოდა 196 სანტიმეტრი (მსოფლიო რეკორდი) იყო, სიმეონისა — „მხოლოდ“ 193 სმ და ერთბაშად 201 სმ დაძლია.

გერმანულიდან თარგმანა ბ. ლაგაზიძემ.

ჩიზბურთი

გამზების თასზე

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტი აშშ-ის ჩიზბურთელების წარმატებას დევისის თასის ფინალში იტალიელებთან, მაგრამ ანგარიში მაინც სენსაციური აღმოჩნდა — მასპინძლებმა (მატჩი სან-ფრანცისკოში მიმდინარეობდა) მოიგეს ყველა შეხვედრა.

გააცნობთ ამ მატჩის ზოგიერთ ეპიზოდს:

გერულიტისსა (აშშ) და ბარსელის შორის პირველ შეხვედრაში, როდესაც ანგარიში იყო 6:2, 3:2, იტალიელს ჩოგანს დიუზიანდა და მან დათმო მატჩი. ასე უიღბლოდ დაიწყო შეხვედრა იტალიელთათვის, მაგრამ ძირითად უსიამოვნება მათ კიდევ ელოდათ. როდესაც დიუზიანდა ვაშლიდან მაცირობდა და პანატა, ჩიზბურთის სპეციალისტებმა ვაშლისგან რომ უკანასკნელი 12 მატჩიდან რომელიც ამერიკელთა თვის გუნდის შემადგენლობაში წარმართა, არ წაუვია არც ერთი გემი, მაცირობა ახლა ბრწყინვალე ფორმაშია. ბევრი მას თვლის თანამედროვეობის უძლიერეს ჩიზბურთელად ბორგის შემდეგ. პანატა მას საკმაოდ იოლად დაამარცხა 6:2, 6:3, 6:4, შემდეგ წყვილთა შეჯიბრებაში ლეტტმა და სიმთამა დაამარცხეს ბერტოლუნი და პანატა — 6:4, 12:10, 6:2.

მეორე დღეს არაფერი შეცვლილა. მაცირობამ დაამარცხა იტალიელთა სათადარიგო მოთამაშე ტუგარული — 6:4, 6:3, 6:1. ხოლო შემდეგ გერულიტისმა — ბარსელის 6:1, 6:3, 6:3.

ამრიგად, აშშ-ის ჩიზბურთელებმა აძვირად მშრალი ანგარიშით 5:0 დაამარცხეს მეტოქე.

ანგაპას თუ არ ანგაპას?!

მუშავედ ალის არაერთხელ განუცხადებია, რომ კრებს თანაგა და აის გადაწყვეტილება საბოლოოა. ეს მის მიუხედავად მან ამას წინათ თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიურ შეჯიბრებაში. პირველი აშშ-ში მოეწყობა, მეორე კი აბიჯანში (სპილოს ძეგლის ნაპირი) თუ ვინ იქნებიან ალის მეტოქეები, ამას ჯერჯერობით საჯაროდ არ აცხადებენ. ისე კი წერენ, რომ ისინი პროფესიულ მოკრივეთა პირველ ათეულს მიეკუთვნებიან.

ვაჟების გუნდური თამაშობა

ესპანელი გოგონა ხუანა მარია გარსია, რომელიც ქ. ცაცერეში (ესპანეთში) წარმატებით თამაშობს ამ ქალაქის ფეხბურთულ გუნდში. ასეთი უცნაური ამბის გამო ამ კლუბმა სპეციალური ნებართვა თხოვა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისგან... თანხმობაც მიიღო. თანხმ. მ. გარსია ერთადერთია ამ სამოყვარულო გუნდში, რომელიც გარკვეულ გასამარჯვლო იღებს.

ლატარიაში მოიგო

განთქმული მეკარე ფლორენსა, რომელიც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში თამაშობდა და არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში ოქროს მედალს დაიმსახურა, ამას წინათ ორი მათ მიიქცია ყურადღება: ჯერ ერთი, მან „რივერ პლეტი“ 1981 წლამდე მოისურვა დაბრუნება, თუმცა, სხვა ცნობებით, მარიაში უნდოდა გადასვლა მეტოქე — ლატარიაში მოიგო დიდი ჯილდო — 100.000 ლარია.

რედაქტორი ა. ბასილაძე

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპარტამენტისთვის — თბილისი, მელიქონების: რედაქტორი — 99-56-14, 98-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-17; პასუხისმგებელი მდივანი — 98-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 98-97-53; მასობრივი ფიქსულტურული მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდის — 98-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 98-97-58; ჟარაკის — 98-97-28; სახმარებლის — 98-97-52; წერილების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამომშვები — 98-98-81; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; მექანიკები — 98-97-57.